საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/5481

28/10/2020

5481-11-2-202010281012

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 2020 წლის 21 ოქტომბრის N9940/01 წერილი, „დაბა სურამის გენერალური გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიში და „დაბა სურამის გენერალური გეგმის“ პროექტის შესახებ.
წარმოდგენილი მთლიანი 15263710 კვ.მ ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 2521377 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს. კერძოდ, ხაშურის სატყეო უბნის ცედანის სატყეოში, კვარტალი NN17,18,20 და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, სურამის სატყეოში, კვარტალი NN11,12,13,14,15,18 და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, ქვიშხეთის სატყეო უბნის ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში და ხაშურის სატყეოში, კვარტალი N1.

აქვე გაცნობებთ, რომ 753436 კვ.მ. ფართობი მოქცეულია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის N5959/01 წერილით განსაზღვრულ ზურმუხტის ქსელის საზღვრებში.
როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.
დანართი: ელ.ვერსია

პატივისცემით,

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი